

შპს ფერო ელვის ფროდაქშენი  
2021 წლის კონსოლიდირებული  
ფინანსური ანგარიშგება

## 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ფერო ელოის ფროდაქშენი“ ს/კ „216302150“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია დარეგისტრებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 30/08/1996 წ.

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად - 31/03/2005 წ.

1.2. კომპანიის მფლობელები არიან: ლეჟავა გიორგი (პ/ნ 35001008926)

კომპანიის დირექტორები არიან:

1. გიორგი ლეჟავა (პ/ნ 35001008926)

1.3. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მანგანუმშემცველი შენადნობების წარმოება და რეალიზაცია, ძირითადად ექსპორტის გზით არარეზიდენტ კლიენტებზე.

1.4. კომპანიას ჰყავს მეკავშირე საწარმო -

1. შპს რუსთავი ინდუსტრია გრუპ (ს/კ 216430538)-100%

2. შპს ვესტა (ს/კ 216292287)-100%

1.5. კომპანიის დასაქმებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხვი 2021 წელს შეადგენდა 125 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს ბუღალტერი.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო

სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება და შედეგების ასახვა ხდება პერსპექტიულად, ანუ იმ პერიოდში, როდესაც მოხდა სააღრიცხვო შეფასების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება (მათ შორის, 3 წლამდე ნაკლებ ვადაში).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან

ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

#### გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

#### დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

#### მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

## 2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2021 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

## 2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

## 2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2021 წელს: 1 USD=2.9233 ლარი; 1 EUR=3.5376 ლარი.

2020 წელს: 1 USD=3.0937 ლარი; 1 EUR=3.5395 ლარი.

### 3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

#### 3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

|                                  | ნაშთი 31.12.2021<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2020<br>მდგომარეობით |
|----------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| ნაღდი ფული სალაროში              | 2 892                            | 33 208                           |
| ლარი საბანკო ანგარიშზე           | 388994                           | 240859                           |
| აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე | 4 227 667                        | 1 944 837                        |
| სულ:                             | 4,619,553                        | 2218904                          |

#### 3.2. სხვა პირებზე გაცემული ავანსები და სესხები:

|                                          | ნაშთი 31.12.2021<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2020<br>მდგომარეობით |
|------------------------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები         | 1,800,705                        | 972658                           |
| ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული თანხები | 0                                | 0                                |
| გაცემული სესხები                         | 24924                            | 6 500                            |
| სულ:                                     | 1824999                          | 979158                           |

#### 3.3. საინვესტიციო ქონება - მიწა:

|                     | ნაშთი 31.12.2021<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2020<br>მდგომარეობით |
|---------------------|----------------------------------|----------------------------------|
| მიწა რუსთავი 1 ზონა | 190 016                          | 136 816                          |
| სულ:                | 190 016                          | 136 816                          |

საინვესტიციო ქონება - შენობა-ნაგებობები:

|                | ნაშთი<br>31.12.2021<br>მდგომარეობით | 2021 წელი<br>ზრდა ან<br>შემცირება | 2021 წელი<br>დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარ<br>ეობით |
|----------------|-------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------|-----------------------------------------|
| შენობა რუსთავი | 1 188 587                           |                                   | -31 263                         | 1 157 324                               |
| სულ:           | 1 188 587                           |                                   | -31 263                         | 1 157 324                               |

3.4. ძირითადი საშუალებები:

|                           | ნაშთი<br>31.12.2021<br>მდგომარეობით | 2021 წელი<br>ზრდა ან<br>შემცირება | 2021 წელი<br>დარიცხული<br>ცვეთა | ნაშთი<br>31.12.2020<br>მდგომარეობით |
|---------------------------|-------------------------------------|-----------------------------------|---------------------------------|-------------------------------------|
| მანქანა-დანადგარები       | 1 505 090                           | 214 997                           | -242 168                        | 1 532 261                           |
| ოფისის აღჭურვილობა        | 19 591                              | 8 365                             | -3609                           | 14 835                              |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 11 413                              | 5 148                             | -850                            | 7 114                               |
| სანტრანსპორტო საშუალებები | 20 830                              | 0                                 | -2 418                          | 23 248                              |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 39 338                              | 2 449                             | -4626                           | 41 515                              |
| დაუმთავრებელი მშენებლობა  | 263 442                             | 0                                 | 0                               | 0                                   |
| სულ:                      | 1 859 704                           | 230 559                           | -182 896                        | 1 618 973                           |
|                           |                                     |                                   |                                 |                                     |

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა წლის ბოლოს შეადგენდა:

2021 წლის ბოლოს - 999 268 ლარს.

2020 წლის ბოლოს - 756 209 ლარს.

3.5. ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში:

ამ მუხლში ასახულია ინვესტიცია 2021 წლის ბოლოს 577 128 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმოს - შპს „რუსთავი ინდუსტრია გრუპ“-ს კაპიტალში, 716 240 ლარის ოდენობით მეკავშირე საწარმო შპს „ვესტა“-ს კაპიტალში რომელშიც შპს „ფერო ელოის ფროდაქშენ“-ს ეკუთვნის 100%.

3.6. გრძელვადიანი სესხები: 1250 000 ლარი

3.7. ნეტო ამონაგები

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა

|                     | 2021 წელი  | 2020 წელი  |
|---------------------|------------|------------|
| გაყიდული პროდუქცია  | 19,875,649 | 11,184,371 |
| გაწეული მომსახურება | 266,530    | 91,239     |
| სულ:                | 20142179   | 11275610   |

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

|                                      | 2021 წელი | 2020 წელი |
|--------------------------------------|-----------|-----------|
| იჯარა                                | 60 087    | 0         |
| ადმინისტრაციის ხარჯი                 | 410 909   | 585 126   |
| შრომითი ანაზღაურების ხარჯი           | 444 514   | 675 258   |
| სხვა არა საოპერაციო შემოსავალი ხარჯი | 560 687   | 736 814   |
| სულ:                                 | 1 476 197 | 1 997 198 |

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები:

|               | 2021 წელი | 2020 წელი |
|---------------|-----------|-----------|
| ქველმოქმედება | 5 423     | 500       |
| სულ:          | 0         | 500       |

3.10. საკუთარი კაპიტალი:

|                             | ნაშთი 31.12.2021<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2020<br>მდგომარეობით |
|-----------------------------|----------------------------------|----------------------------------|
| წესდების დადგენილი კაპიტალი | 15 000                           | 15 000                           |
| გადაფასების რეზერვი         | 1 317 726                        | 1 317 726                        |
| გაუნაწილებელი მოგება        | 8,563,084                        | 4048857                          |
| სულ:                        | 9,895,810                        | 5381583                          |

3.11. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დამფუძნებლის/დირექტორის წინაშე არსებული სახელფასო ვალდებულებები წინა პერიოდებიდან:

|                  | ნაშთი 31.12.2021<br>მდგომარეობით | ნაშთი 31.12.2020<br>მდგომარეობით |
|------------------|----------------------------------|----------------------------------|
| გასაცემი ხელფასი | 201,950                          | 160739                           |
| სულ:             | 201,950                          | 160739                           |

### 3.12. სასამართლო დავები:

კომპანიას 2021 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი სახის სასამართლო დავები არ ჰქონდა.

### 3.13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020-2021 წლებში ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას: მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც. 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისათვის, პანდემია დამარცხებული არ არის.

კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

2021 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

### 3.14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2021 წლის 30 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

დირექტორი გიორგი ლეჟავა



|                                                                                             |                   |                   |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                |                   |                   |
|                                                                                             |                   |                   |
| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 4619553           | 2218904           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 1800705           | 972658            |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 24924             | 6500              |
| მარაგები                                                                                    | 3894819           | 1283230           |
| მზა პროდუქცია                                                                               | 461178            | 128907            |
| სხვა                                                                                        | 3433641           | 1154323           |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 107514            | 85534             |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 3305              | 3305              |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 3614040           | 2930249           |
| სულ აქტივები                                                                                | 14064860          | 7500380           |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                   |                   |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 1954878           | 1548038           |
| ანარიცხები                                                                                  | 81942             | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 201950            | 160739            |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 132838            | 14192             |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 1250000           | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 547442            | 395828            |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 4169050           | 2118797           |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 15000             | 15000             |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | 8563084           | 4048857           |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 1317726           | 1317726           |
| სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი                            | 9895810           | 5381583           |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | 9895810           | 5381583           |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 14064860          | 7500380           |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 10009896          | 4605832           |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 4169050           | 2118797           |

|                                          |                   |                   |
|------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>საქმიანობის შედეგები</b>              |                   |                   |
|                                          |                   |                   |
| <b>საქმიანობის შედეგები</b>              | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
| ნეტო ამონაგები                           | 20155460          | 12025595          |
| საქონლის გაყიდვიდან                      | 19875649          | 11184371          |
| მომსახურების გაწევიდან                   | 266530            | 91239             |
| სხვა                                     | 13281             | 749985            |
| გაყიდვების თვითღირებულება                | -12857125         | -9027726          |
| საერთო მოგება                            | 7298335           | 2997869           |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                 | -444514           | -675258           |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი               | -45564            | -39288            |
| საპროცენტო შემოსავალი                    | 118868            | 0                 |
| იჯარის ხარჯი                             | -60087            | 0                 |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | -488159           | -585126           |
| სულ საოპერაციო ხარჯები                   | -919456           | -1299672          |

|                                                                          |          |         |
|--------------------------------------------------------------------------|----------|---------|
| საოპერაციო მოგება                                                        | 6378879  | 1698197 |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                   |          |         |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  | -560687  | 0       |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | 5818192  | 1698197 |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                   | 5818192  | 1698197 |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |          |         |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | 5818192  | 1698197 |
| <b>მოგება / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                                    |          |         |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილები მოგება (ზარალი)            | 5818192  | 1698197 |
| მოგება / (ზარალი)                                                        | 5818192  | 1698197 |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:</b>                  |          |         |
| მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილები მთლიანი შემოსავალი         | 5818192  | 1698197 |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | 5818192  | 1698197 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 5381583  | 4166865 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                           | -1303965 | -483479 |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           | 9895810  | 5381583 |

|                                                                                                        |                   |                   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                                       |                   |                   |
| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                                                                       | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | 18780942          | 9719056           |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | -17630293         | -7753927          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 1250000           | 0                 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | 2400649           | 1965129           |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0                 | 0                 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 2218904           | 253775            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 4619553           | 2218904           |

